



## ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობები დანართი N8 - მობილ ბანკი

1. **მობილ ბანკის** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკში** მიუსვლელოდ მისცეს **ბანკს** დავალება და მოითხოვოს ამ **დანართით** განსაზღვრული **ოპერაციების** შესრულება.
2. იმისათვის რომ **კლიენტმა** ისარგებლოს **მობილ ბანკით** იგი უნდა ფლობდეს Android-ის ან iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონს.
3. **მობილ ბანკის** აპლიკაციის (დასახელებით: Bank of Georgia – BOG) ჩამოტვირთვა/განახლება შესაძლებელია Apple-ის ოფიციალური პორტალიდან AppStore, ან Android-ის ოფიციალური პორტალიდან Google Play Store, რისთვისაც **კლიენტს** უნდა გააჩნდეს შესაბამისი პორტალის მომხმარებლის სახელი და პაროლი.
4. თუ **კლიენტი** დარეგისტრირებულია **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**, **კლიენტმა მობილ ბანკის** გასააქტიურებლად **მობილ ბანკის** აპლიკაციის ჩამოტვირთვის შემდეგ, შესაბამის ფორმაში უნდა შეიყვანოს **მომხმარებლის სახელი** და **პაროლი**, და დამატებით დაადასტუროს **მობილ ბანკის** აქტივაცია **ერთჯერადი კოდით**, რომელსაც **კლიენტი** მიიღებს **ფინანსურ ნომერზე** ან/და **ფინანსურ ელექტრონულ ფოსტაზე**. თუ **კლიენტი** სარგებლობს **Digipass-ით**, შესაძლებელია **Digipass-ით** დაგენერირებული **ერთჯერადი კოდის** გამოყენებაც.
5. ნებისმიერ **კლიენტს** შეუძლია **მობილ ბანკში ავტორიზაციის** გარეშე დარეგისტრირდეს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**, ხოლო ფიზიკურ პირს **საშუალებას აქვს** გაიაროს **ონლაინ იდენტიფიკაცია** **ბანკის** მიერ დადენილი პროცედურის შესაბამისად. **მობილ ბანკში** მხოლოდ **ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზებულ კლიენტს** შეუძლია:
  - 5.1. აღადგინოს/შეცვალოს **მომხმარებლის სახელი** ან/და **პაროლი**,
  - 5.2. **ავტორიზაციის** მიზნებისთვის დააყენოს შემდეგი **ავთენტიფიკაციის ელემენტი**: პას კოდი ან/და თითის ანაბეჭდი ან/და სახის ამოცნობა (face ID) (მხოლოდ iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონების შემთხვევებში თუ შესაბამისი სმარტფონი აღჭურვილია სახის ამომცნობის ფუნქციით).
  - 5.3. მიიღოს ინფორმაცია:
    - 5.3.1. **ანგარიშების, კრედიტების, საკრედიტო ბარათებისა** და ანაბრებისზე (დეპოზიტებზე) შესახებ;
    - 5.3.2. დაგროვების პროგრამების შესახებ (PLUS ქულები, MR ქულები, sCool ბონუს ქულები);
    - 5.3.3. **ელექტრონული ყულაბის** შესახებ;
    - 5.3.4. უახლოესი გადასახდელების შესახებ (**კრედიტი, საკრედიტო ბარათი, საკომისიო, კომუნალური გადახდები**);
    - 5.3.5. **ბანკის** შეთავაზებების შესახებ, მათ შორის **ბანკში** მიმდინარე აქციების შესახებ;
  - 5.4. შეასრულოს **გადახდის ოპერაციები**, მათ შორის კომუნალური და სხვა სახის გადასახადები;
- 5.5. **მიმღებს** მიაჩნოს **სანდო ბენეფიციარის** სტატუსი. ამასთან, **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **სანდო ბენეფიციარის** სტატუსის მინიჭებით ის ადასტურებს, რომ **მიმღების** მიმართ **კლიენტს** გააჩნია ნდობა და **ძლიერი ავთენტიფიკაციის** განხორციელების გარეშე **ოპერაციის** შესრულება არ არის რისკის შემცველი, შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ **ოპერაცია** სრულდება **სანდო ბენეფიციარის** სასარგებლოდ, **ოპერაცია** არ საჭიროების **ძლიერი ავთენტიფიკაციით** დადასტურებას.
- 5.6. **საკრედიტო ბარათის** და **სადებეტო ბარათის** ბანკომატიდან განაღდების დღიური თანხობრივი **ლიმიტისა** და **ბარათით** განაღდების ოპერაციის შესრულების რაოდენობის, ასევე განაღდების შედეგად დარჩენილი დღიური თანხობრივი **ლიმიტისა** და **ოპერაციის** შესრულების რაოდენობის შესახებ, მათ შორის, **SOLO ანგარიშთა პაკეტით** მოსარგებლე **კლიენტის** შემთხვევაში, **სადებეტო**



**ბარათებით** ბანკომატიდან განაღდების დღიური ჯამური **ლიმიტისა** და **ბარათით** განაღდების **ოპერაციის** შესრულების რაოდენობის შესახებ.

- 5.7. შეასრულოს გადარიცხვის **ოპერაციები**, მათ შორის, გადარიცხოს **ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხა ან უარი თქვას **ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხის გადარიცხვაზე;
- 5.8. შეასრულოს **P2P გადარიცხვის** **ოპერაცია**, კერძოდ:
  - 5.8.1. **ბანკის ბარათთან** მიბმული **ანგარიშიდან**, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ ბარათზე მიბმულ ანგარიშზე, გადარიცხოს თანხა ეროვნულ ვალუტაში;
  - 5.8.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებული ბარათთან მიბმული **ანგარიშიდან**, **ბანკის ბარათთან** მიბმულ **ანგარიშზე**, ჩარიცხოს თანხა ეროვნულ ვალუტაში
- 5.9. **P2P გადარიცხვის** **ოპერაციის** შესრულების მიზნებისთვის დაიმახსოვროს/შეინახოს **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი)**;
- 5.10. **P2P გადარიცხვის** **ოპერაციის**, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებული ბარათის საბარათე ანგარიშიდან **ბანკის ბარათის ანგარიშზე** ეროვნულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვისთვის დააგენერიროს ბმული;
- 5.11. გამოიყენოს **ინტერნეტ ბანკში** შექმნილი **გადახდების** შაბლონები;
- 5.12. შეასრულოს **კონვერტაცია** **მობილ ბანკის** კურსით;
- 5.13. გააფავორიტოს **ანგარიში** ან/და **ბარათი** ან/და არ გამოაჩინოს **ანგარიშები**;
- 5.14. დაბლოკოს/განბლოკოს **ბარათები**;
- 5.15. დაბლოკოს/განბლოკოს **ბარათის** საშუალებით **გადახდების** შესრულება ახარტული თამაშების ან მსგავსი ფუნქციის მქონე **მიმღების** სასარგებლოდ;
- 5.16. გაააქტიუროს/გააუქმოს **ბარათის დაცვის მომსახურება**;
- 5.17. გააზიაროს **ანგარიშის** ნომერი;
- 5.18. ჩამოტვირთოს/გააზიაროს გადახდის ქვითარი ან/და **საგადახდო დავალება**;
- 5.19. მოძებნოს ინფორმაცია მის მიერ შესრულებულ **ოპერაციებთან** დაკავშირებით;
- 5.20. გაააქტიუროს/შეიტანოს ცვლილებები/გააუქმოს **ელექტრონული ყულაბა**;
- 5.21. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გააუქმოს **ავტომატური გადახდები** ან/და **მუდმივი საგადახდო დავალება**;
- 5.22. ურთიერთობის პროგრამის ფარგლებში დაგროველი PLUS ქულები გადაცვალოს მომსახურებაში ან/და PLUS ქულები გადასცეს **ბანკის** სხვა **კლიენტ** ფიზიკურ პირს;
- 5.23. მოიწვიოს **მესამე პირი** ურთიერთობის პროგრამა PLUS-ში;
- 5.24. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გამორთოს **მობილ ბანკის** აპლიკაციის შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია. ამ **პუნქტის** მიზნებისთვის, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად გამორთოს **კლიენტის** მიერ გააქტიურებული შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ ისარგებლებს **მობილ ბანკის** აპლიკაციით;
- 5.25. გაააქტიუროს/დაარედაქტიროს/გააუქმოს **SMS ბანკი**;
- 5.26. შეცვალოს/დაამატოს **ბანკში**, როგორც თავისი, ასევე **ბანკის კლიენტი** არასრულწლოვანი პირის, რომლის კანონიერ წარმომადგენლადაც არის დაფიქსირებული **ბანკში** საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, **ფინანსური ნომერი** და **ფინანსური ელექტრონული ფოსტა**,



- 5.27. გახსნას ან/და დაარღვიოს ანაბარი (დეპოზიტი) ანაბრის(დეპოზიტის) პირობების შესაბამისად, ამასთან ანაბრის (დეპოზიტის) დარღვევისთვის შესაძლებელია დადგენილი იყოს შესაბამისი **ლიმიტ(ებ)ი ბანკის** მიერ;
- 5.28. შეუკვეთოს **სადებეტო ბარათი**, მათ შორის **ციფრული ბარათი**, აგრეთვე შეუკვეთოს **სადებეტო ბარათი**, ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში;
- 5.29. გააუქმოს **სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრული ბარათის** შეკვეთის განაცხადი;
- 5.30. გააქტიუროს ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების ფარგლებში შეკვეთილი **სადებეტო ბარათი**;
- 5.31. გამოაჩინოს ბარათის, მათ შორის **ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები**;
- 5.32. გააუქმოს **ანგარიშთან** დაკავშირებული, ნებისმიერი **სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრული ბარათი**, გარდა შესაბამის **ანგარიშთან** დაკავშირებული უკანასკნელი ბარათისა.
- 5.33. გააქტიუროს **ბანკის** მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) **კრედიტ(ებ)ი** (მათ შორის **საკრედიტო ბარათ(ებ)ი, ოვერდრაფტი**) ან/და ანაბრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი **კრედიტი**, ასევე, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები **კრედიტ(ებ)ის ხელშეკრულებაში(ებში), ბანკში** დადგენილი **ლიმიტ(ებ)ის** შესაბამისად;
- 5.34. დაამატოს თანხა ისეთ ანაბარზე (დეპოზიტზე) \_რომელი ტიპის ანაბრისთვისაც, **ბანკს** განსაზღვრული აქვს თანხის დამატებით შესაძლებლობა;
- 5.35. სრულად ან ნაწილობრივ დაფაროს ან/და მოითხოვოს ისეთი **კრედიტის** სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა, რომელი ტიპის **კრედიტის** ამ ფორმით დაფარვაც დაშვებულია **ბანკის** მიერ;
- 5.36. მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ მობილური მოწყობილობა, რომლითაც **კლიენტი ავტორიზებულია მობილ ბანკში** გახადოს **ავთენტიფიკაციის ელემენტი**, რისთვისაც **კლიენტმა** მობილურ მოწყობილობას უნდა მიაწოდოს სანდო მოწყობილობის სტატუსი;
- 5.37. გაუუქმოს სანდო მოწყობილობის სტატუსი მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ მობილურ მოწყობილობას
- 5.38. დაამატოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ი** Wallet-ის აპლიკაციაში(ებ)ში, მათ შორის **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ციფრული ბარათ(ებ)ი**;
- 5.39. **მობილ ბანკის** ჩატის მეშვეობით, მიმართოს **ბანკს** და მოითხოვოს ქ.თბილისის, ქ.ბათუმის, ქ.ზუგდიდის და ქ.რუსთავის მერიის მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული შეღავათიანი სამგზავრო ტარიფით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის განსაზღვრა **პლასტიკურ ბარათზე** ან Wallet-ის აპლიკაციაში(ებ)ში, საგადახდო აპლიკაციაში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე/ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემებზე**, ასევე ქ.თბილისის, ქ.ბათუმის, ქ.ზუგდიდის და ქ.რუსთავის მერიის მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული შეღავათიანი სამგზავრო ტარიფით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის გადატანა **პლასტიკური ბარათიდან** Wallet-ის აპლიკაციაში(ებ)ში, საგადახდო აპლიკაციაში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე/ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემებზე** ან პირიქით, Wallet-ის აპლიკაციაში(ებ)ში, საგადახდო აპლიკაციაში შენახული/დამახსოვრებული **ბარათიდან/ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემებიდან** ან **პლასტიკურ ბარათზე**.
- 5.40. მიიღოს **ფულადი გზავნილი**;
- 5.41. ჩატის მეშვეობით, მიმართოს **ბანკს** და მოითხოვოს მისი დაფიქსირება **ბანკის** სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად;
- 5.42. გააქტიუროს **ანგარიშთა პაკეტი** და **ანგარიშთა პაკეტში** შემავალი პროდუქტები/ბენეფიტები.



- 5.43. **SOLO ანგარიშთა პაკეტის** გააქტიურებასთან ერთად გააქტიურდეს **იმეილ ბანკი**;
- 5.44. **მესამე პირისაგან** მოითხოვოს თანხის ჩარიცხვა ან/და მოითხოვოს თანხის ჩარიცხვა თანხის გაყოფის ფუნქციონალით ან/და გააუქმოს აღნიშნული მოთხოვნა ან/და ჩათვალოს აღნიშნული მოთხოვნა მიღებულად.
- 5.45. დააინიციროს განვადებასთან დაკავშირებული **კრედიტ(ებ)ის** გაუქმება **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურის, წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 5.46. დაამატოს/განაახლოს სხვა კომერციული ბანკში ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან არსებული **კლიენტის** ანგარიშების, ანგარიშებზე არსებულ ნაშთებისა და ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია, **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურის, წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 5.47. გაუზიაროს **ანგარიშების, ანგარიშებზე** არსებულ ნაშთებისა და **ანგარიშებზე** განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ ინფორმაცია სხვა კომერციულ ბანკს ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურის, წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 5.48. **ბანკის კლიენტისთვის** (მათ შორის არასრულწლოვანი პირისთვის) შეუქვეთოს სადებეტო **ბარათი** თუ იგი **ბანკში** დაფიქსირებულია აღნიშნული **კლიენტის** კანონიერ წარმომადგენლად, მათ შორის, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების** ფარგლებში.
- 5.49. გააქტიურდეს წვდომა წინამდებარე **დანართის 23-ე პუნქტით** განსაზღვრულ საინვესტიციო მოდულზე (შემდგომში - **საინვესტიციო მოდული**).
- 5.50. **გადარიცხოს** თანხა **ანგარიშიდან** წინამდებარე **დანართის 23-ე პუნქტით** განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის მიერ საბროკერო ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილ ანგარიშზე. ასევე საბროკერო ხელშეკრულების საფუძველზე გახსნილი ანგარიშიდან გადმოირიცხოს თანხა **ანგარიშზე**.
- 5.51. განახორციელოს **საინვესტიციო მოდულით** დაშვებული სხვა **ოპერაციები**;
- 5.52. აღადგინოს **PIN კოდი**;
- 5.53. გაიაროს **ავტორიზაცია ინტერნეტ ბანკში QR კოდის** გამოყენებით;
- 5.54. შეავსოს ავტომობილის მართვისას მესამე პირის წინაშე წარმოშობილი პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შეძენის განაცხადი, შეიძინოს შესაბამისი დაზღვევა (განაცხადოს თანხმობა დაზღვევის/სადაზღვევო პოლისის პირობებზე), გადაიხადოს შესაბამისი დაზღვევის საფასური და დაათვალიეროს შეძენილი დაზღვევის სადაზღვევო პოლისი;
- 5.55. შეავსოს სამოგზაურო დაზღვევის შეძენის განაცხადი, შეიძინოს შესაბამისი დაზღვევა (განაცხადოს თანხმობა დაზღვევის/სადაზღვევო პოლისის პირობებზე), გადაიხადოს შესაბამისი დაზღვევის საფასური და დაათვალიეროს შეძენილი დაზღვევის სადაზღვევო პოლისი;
- 5.56. როგორც იურიდიული პირის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა დაადასტუროს იურიდიული პირის საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ ან/და **ინტერნეტ ბანკით** ან/და **შეტყობინების სერვისით მომსახურების** შესახებ განაცხადი;
- 5.57. შეიძინოს ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათი;
- 5.58. გააუქმოს, ისეთი **ბარათის** (მათ შორის **ციფრული ბარათის**) შექვეთის **განაცხადი**, რომელიც შექვეთილია **ინტერნეტ ბანკით/მობილ ბანკით** და ამავდროულად **ბარათი** ჯერ არ დამზადებულა;
- 5.59. გააუქმოს **ბარათი**, რომელიც არ წარმოადგენს ანგარიშზე არსებულ უკანასკნელ **ბარათს**
- 5.60. **მობილ ბანკის** გამოყენებით დაასკანეროს **ბანკის ბანკომატზე** მითითებული QR კოდი **საბარათე** ანგარიშიდან თანხის განაღდებას მიზნით.
- 5.61. სასაჩუქრე ბარათის მიღება ან/და სხვა ფიზიკური პირისთვის გადაცემა/გაგზავნა;
- 5.62. სასაჩუქრე ბარათთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება;



- 5.63. **მობილ ბანკში კლიენტის ან მესამე პირის ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის მონაცემების მითითებით შაბლონ(ებ)ის შექმნის საფუძველზე, შემდგომში შესაბამისი გადასახდელის გადახდის ოპერაციის შესრულების მიზნით, ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებით, მიიღოს შემდეგი სახის ინფორმაცია (შემდგომში - ავტომანქანის შაბლონი):**
  - 5.63.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და ფოტო/ვიდეო დაკვირვების კამერების მიერ შესაბამის ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებით გამოწერილ ჯარიმებთან (მათ შორის, ჯარიმაზე დარიცხულ საურავებთან) დაკავშირებით;
  - 5.63.2. ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. გორის მუნიციპალურ საზღვრებში, შესაბამის ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებით, პარკირების საშვების შესახებ.
- 6. იმ შემთხვევაში, თუ ავტომანქანის შაბლონის საკომისიოს გადახდის თარიღში კლიენტის ანგარიშზე არ არის საკმარისი თანხა კლიენტის მიერ შექმნილი ყველა ავტომანქანის შაბლონის შესაბამისი საკომისიოს დასაფარად, მაშინ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დამატებითი თანხმობის/აქცეპტის გარეშე, ავტომატურად გააუქმოს იმ ავტომანქანის შაბლონი, რომლის საკომისიოს დაფარვაც არ/ვერ განხორციელდება ავტომანქანის შაბლონის საკომისიოს გადახდის თარიღისთვის. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ავტომანქანის შაბლონების საკომისიოს ჩამოჭრისა და გაუქმების რიგითობა/პრიორიტეტულობა.
- 7. კლიენტისთვის ცნობილია, რომ სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრული ბარათის გაუქმებით არ ხდება აღნიშნულ სადებეტო, საკრედიტო ან/და ციფრულ ბარათზე მიბმული ანგარიშის დახურვა.
- 8. კლიენტს, შესაძლებლობა აქვს მობილ ბანკით დარეგისტრირდეს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში ბანკის მიერ დადგენილი წესით. მობილ ბანკით პაროლის აღსადგენად კლიენტმა უნდა გაიაროს ონლაინ იდენტიფიკაცია და მიუთითოს ერთჯერადი კოდი, ან შესაბამის ფორმაში მიუთითოს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი და ერთჯერადი კოდი. კლიენტი ერთჯერად კოდს მიიღებს ფინანსურ ნომერზე ან/და ფინანსურ ელექტრონულ ფოსტაზე. ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის საფუძველზე პაროლის აღდგენის შემთხვევაში, თუ კლიენტი სარგებლობს Digipass-ით, შესაძლებელია Digipass-ით დაგენერირებული ერთჯერადი კოდის გამოყენებაც. ამასთან, პაროლის აღსადგენად, ერთჯერადი კოდის შეყვანამდე კლიენტი შესაბამის ველში, ბანკის შეხედულებისამებრ უთითებს ფინანსურ ნომერს ან ფინანსურ ელექტრონულ ფოსტას. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს პაროლის აღდგენის მეთოდი, მათ შორის პაროლის აღსადგენად მოითხოვოს კლიენტის მიერ დამატებით ინფორმაციის გაზიარება.
- 9. იმ შემთხვევაში თუ კლიენტს სურს ავთენტიფიკაციის ელემენტად გამოიყენოს პას კოდი, მის სარგებლობაში არსებულ მობილურ მოწყობილობას, რომლითაც კლიენტი ავტორიზდება მობილ ბანკში უნდა მიაწოდოს სანდო მოწყობილობის სტატუსი, და გაიაროს ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზაცია, აირჩიოს პას კოდი, როგორც ავთენტიფიკაციის ელემენტი შეარჩიოს სასურველი ციფრების კომბინაცია და დაადასტუროს ის ძლიერი ავთენტიფიკაციით. ამ პუნქტის მიზნებისთვის, პას კოდის, როგორც ავთენტიფიკაციის ელემენტის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის სარგებლობაში არსებულ ერთ კონკრეტულ სმარტფონზე.
- 10. იმ შემთხვევაში თუ კლიენტს სურს ავთენტიფიკაციის ელემენტად გამოიყენოს უნიკალურობის კატეგორიის ელემენტი თითის ანაბეჭდი ან სახის ამომცნობი (face ID), კლიენტმა უნდა აირჩიოს თითის ანაბეჭდით ან სახის ამომცნობი (face ID) როგორც ავთენტიფიკაციის ელემენტი და დაადასტუროს ძლიერი ავთენტიფიკაციით.
- 11. მობილ ბანკში ავტორიზაციისას მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის ან/და პას კოდის სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში მობილ ბანკი დაიბლოკება 30 წუთით.



12. ავტორიზაციის შემდეგ **მობილ ბანკში** უმოქმედო სესიის ხანგრძლივობა (გარდა **ბარათით** გადახდისა) შეადგენს არაუმეტეს 5 წუთს. 5 წუთის ამოწურვის შემდგომ **მობილ ბანკის** სესია ავტომატურად დაიხურება და **მობილ ბანკით** თავიდან სარგებლობისთვის **კლიენტმა** უნდა გაიაროს დამატებითი ავტორიზაცია.
13. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტთან** შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ნებისმიერ დროს შეზღუდოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს ავტორიზაციის ან/და ოპერაციის შესრულების მეთოდი, მათ შორის **წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით** განსაზღვრული ოპერაციების დადასტურების წესი. ამასთან, **ბანკი** საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს იმ ოპერაციების ჩამონათვალს, რომლებიც საჭიროებს **ძლიერ ავთენტიფიკაცთ** დადასტურებას.
14. თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად შეუზღუდოს/გააუქმოს **კლიენტს მესამე პირისგან** თანხის ჩარიცხვის მოთხოვნის მომსახურება, როგორც კონკრეტულ **მესამე პირთან** მიმართებაში, ასევე სრულად მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ: ა) მოთხოვნის მიმღები **მესამე პირის** სურვილის შემთხვევაში ან/და; ბ) **ბანკის** მიერ განსაზღვრული დროის მონაკვეთის განმავლობაში **კლიენტის** მიერ გაგზავნილი მოთხოვნების რაოდენობა, რომელის საფუძველზე **მესამე პირებმა** არ განახორციელეს თანხის ჩარიცხვა აღემატება **ბანკის** მიერ განსაზღვრულ **ლიმიტს** ან/და; გ) **კლიენტი მესამე პირისგან** თანხის ჩარიცხვის მოთხოვნის მომსახურებით სარგებლობს არამიზნობრივად/არაკეთილსინდისიერად.
15. **P2P გადარიცხვის ოპერაციის**, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებული ბარათის საბარათე ანგარიშიდან **ბანკის ბარათის ანგარიშზე** ეროვნულ ვალუტაში თანხის ჩარიცხვის ბმულის გენერირებისთვის **მობილ ბანკის** შესაბამის გვერდზე **კლიენტმა** უნდა აირჩიოს **ბანკის** მიერ ემიტირებული იმ **ბარათის ანგარიში**, რომელზეც სურს ბმულის მეშვეობით **ოპერაციების** საფუძველზე თანხის მიღება. ამასთან:
  - 15.1. ბმული არის უვადო და მრავალჯერადი გამოყენების.
  - 15.2. ბმულის შექმნის შემდეგ, **კლიენტი** უფლებამოსილია შეცვალოს **ბანკის ბარათის ანგარიში**, რომელზეც სურს თანხის მიღება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში უკვე შექმნილი ბმული არ იცვლება და მისი მეშვეობით **P2P გადარიცხვის ოპერაციის** შესრულება შესაძლებელია (ცვლილების შემდეგ **კლიენტი** თანხებს მიიღებს უკვე შეცვლილ/ახლად მითითებულ, **ბანკის ბარათის ანგარიშზე**).
  - 15.3. ბმულის გაზიარება შესაძლებლობა, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა ან/და სხვა).
  - 15.4. ფიზიკურ პირს, რომელთანაც **კლიენტი** გააზიარებს ბმულს, ნებისმიერ დროს შეუძლია გადავიდეს ბმულზე და შეასრულოს **P2P გადარიცხვის ოპერაცია**.
16. **კლიენტი** ვალდებულია, **P2P გადარიცხვის ოპერაციის** შესრულებისთვის, წინამდებარე დანართით დადგენილ პირობებთან ერთად განუხრელად დაიცვას დოკუმენტ “**P2P გადარიცხვის ოპერაციით** მომსახურების პირობებით” დადგენილი პირობები, რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge).
17. **ბანკის ბანკომატზე** მითითებული QR კოდის **მობილ ბანკის** გამოყენებით დასკანერებით, **ბარათთან** მიბმული **ანგარიშიდან**, **ბანკის ბანკომატით** თანხის განაღდებას, **კლიენტზე** სრულად გავრცელდება **ბარათისთვის ბანკის** მიერ დადგენილი **ლიმიტები**, ასევე **ბარათის** მეშვეობით, **ბანკის ბანკომატიდან** თანხის განაღდებასთვის დადგენილი **საკომისიოები**.
18. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ინფორმირებულია მის მიერ **მესამე პირისგან** თანხის ჩარიცხვის ან თანხის გაყოფის ფუნქციონალით სარგებლობის შემთხვევაში, **მესამე პირს**



მიეწოდება შემდეგი მონაცემები: **კლიენტის** სახელი და გვარი, მოთხოვნილი თანხის ოდენობა, **კლიენტის ანგარიში**, რომელზეც უნდა მოხდეს მოთხოვნილი თანხის ჩარიცხვა და მოთხოვნის დანიშნულება (**კლიენტის** მიერ მითითების შემთხვევაში). **კლიენტი** თანახმაა, ასეთი ინფორმაცია **ბანკის** არაკლიენტ **მესამე პირს** მიეწოდოს **კლიენტის** მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ხოლო თუ **მესამე პირი** არის **ბანკის** კლიენტი, ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები **მესამე პირს** მიეწოდება ბანკში დაფისირებულ **ფინანსურ ნომერზე** ან PUSH ნოტიფიკაციის საშუალებით. ამასთან, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი, **კლიენტის** მიერ **მესამე პირის/მისი** საკონტაქტო ინფორმაციის არასწორად მითითების გამო ან/და ნებისმიერი ისეთი შემთხვევის გამო, როდესაც **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზით, გაგზავნილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი სხვა **მესამე პირისთვის**.

19. **ბარათის ადგილზე მითითების მომსახურების ფარგლებში** შეკვეთილი **სადებეტო ბარათის**, მათ შორის, არასრულწლოვანი **კლიენტისთვის** შეკვეთილი **სადებეტო ბარათის** აქტივაციით **კლიენტი** ადასტურებს, რომ მას სათანადო ფორმით გადაეცა შეკვეთილი **ბარათი** და მიიღო **ბარათის PIN კოდი**.
20. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ: ა) სხვა კომერციული ბანკში ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან **კლიენტის** არსებული ანგარიშების, ანგარიშებზე არსებულ ნაშთებისა და ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ **მობილ ბანკში** ინფორმაციის დამატებაზე თანხმობის გამოხატვით, **ბანკი** იძენს უფლებას **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევის მიზნებისთვის და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, **კანონმდებლობით** დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშავოს მიღებული ინფორმაცია, მათ შორის სხვა პერსონალური ან/და საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია **კლიენტის** თანხმობის მოქმედების ვადის განმავლობაში და ბ) **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს **ბანკს** მოსთხოვოს ამ **პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით** გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების შეწყვეტა ან/და მიღებული ინფორმაციის დამუშავების შეწყვეტა, თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
21. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** თანხმობით, **კლიენტის ანგარიშების** შესახებ ინფორმაცია გაზიარებულ იქნება სხვა კომერციული ბანკებისა ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისთვის, **ბანკი** არ აგებს პასუხს **ანგარიშების**, მათზე არსებულ ნაშთებისა და **ანგარიშებზე** განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ ინფორმაციის გაზიარების შედეგად, გაზიარებული ინფორმაციის მიზნობრივად ან/და არამიზნობრივად დამუშავების შედეგებზე ან/და ნებისმიერი ზიანზე/ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს ნებისმიერ **მესამე პირს** ამ ინფორმაციის გაზიარებით.
22. თუ **კლიენტი** არასრულწლოვანია ან სხვა საფუძველით არ გააჩნია საკუთარი თავის კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილება/შესაძლებლობა და იგი **ბანკში** წარმოდგენილია კანონიერი წარმომადგენლის მიერ (შემდგომში **კლიენტის წარმომადგენელი**), **კლიენტის წარმომადგენელი**, როგორც **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენელი:
  - 22.1. წინასწარ აცხადებს თანხმობას **მობილ ბანკის** საშუალებით **კლიენტის** მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ ნებისმიერ **ოპერაციაზე**;
  - 22.2. ადასტურებს, რომ **კლიენტის** მიერ **მობილ ბანკის** საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი **ოპერაცია** სრულდება მისი, როგორც **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით და სრულად არის პასუხისმგებელი თითოეულ/ყველა **ოპერაციაზე**;



- 22.3. წინასწარ აცხადებს თანხმობას **საკომისიოს, პირგასამტეხლოს** და სხვა გადასახდელების გადახდის თაობაზე, რომელიც შეიძლება დაეკისროს **კლიენტს**, მის მიერ ნებისმიერი **საბანკო პროდუქტის/საბანკო მომსახურების** სარგებლობასთან/გამოყენებასთან დაკავშირებით;
- 22.4. ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ **ბანკი**, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, შეტყობინების გაგზავნის გარეშე, შეზღუდოს ან/და შეცვალოს **მობილ ბანკის** საშუალებით **კლიენტისთვის** ნებადართული **ოპერაციების** ჩამონათვალი ან/და დააწესოს **ოპერაციების ლიმიტები**.
- 22.5. ადასტურებს, რომ **მობილ ბანკით კლიენტის** მიერ სარგებლობაზე გაცხადებული თანხმობის ფარგლებში, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** მისცეს შესაძლებლობა გაიაქტიუროს/ისარგებლოს **BOG sCoolApp**, **ბანკის** მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია **დანართი 26 – BOG sCoolApp**.
- 23. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ:
  - 23.1. საინვესტიციო მოდული წარმოადგენს **მობილ ბანკში** ინტეგრირებულ საბროკერო კომპანია სს „გალტ ენდ თაგარტი“-ის (ს/ნ: 211359206) ონლაინ პლატფორმას;
  - 23.2. **საინვესტიციო მოდულზე** წვდომის გააქტიურებით **კლიენტი** საბროკერო კომპანიასთან დებს/ეთანხმება საბროკერო კომპანიის საბროკერო ხელშეკრულებას, სრულად საკუთარი პასუხისმგებლობით;
  - 23.3. საბროკერო კომპანიასთან ხელშეკრულების დადების შედეგად **კლიენტს** ეძლევა საშუალება საინვესტიციო მოდულის გამოყენებით განახორციელოს ის ოპერაცია, რომელიც გათვალისწინებული იქნება **კლიენტსა** და საბროკერო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, მათ შორის და არა მხოლოდ, ფასიანი ქაღალდების ყიდვა და გაყიდვა, თანხის გადარიცხვა **ანგარიშიდან** საბროკერო ხელშეკრულების საფუძველზე საბროკერო კომპანიის მიერ გახსნილ ანგარიშზე ან/და ამ ანგარიშიდან **ანგარიშზე**;
  - 23.4. **საინვესტიციო მოდულზე** წვდომის შესაძლებლობა ან/და საინვესტიციო მოდულში ოპერაციების შესრულების შესაძლებლობა არ არის და არ უნდა იქნეს გაგებული ან/და ინტერპრეტირებული, როგორც, **ბანკის** მხრიდან **კლიენტის** მიმართ განხორციელებული შეთავაზება/რეკომენდაცია გააფორმოს საბროკერო ხელშეკრულება ან/და განახორციელოს საინვესტიციო მოდულზე წვდომა ან/და განახორციელოს საინვესტიციო მოდულში ოპერაციები ან/და შეასრულოს საბროკერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანზაქციები. საინვესტიციო მოდულში ნებისმიერ ოპერაციას **კლიენტი** ასრულებს საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილების საფუძველზე და სრულად საკუთარი პასუხისმგებლობით.
  - 23.5. **კლიენტი** სრულად პასუხისმგებელია და **ბანკი** არ აგებს პასუხს **კლიენტის** ან/და ნებისმიერი **მესამე პირის** მიერ საინვესტიციო მოდულში განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციაზე ან/და ქმედებაზე ან/და მათ შედეგზე ან/და მათ შედეგად წარმოშობილ ნებისმიერი სახის ზიან/ზარალზე, რომელიც მიადგა/შესაძლოა მიადგეს **კლიენტს** ან/და ნებისმიერ **მესამე პირს**.
- 24. **კლიენტის** მიერ **მობილ ბანკით** შემენილი ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათის პირობები განისაზღვრები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილება #20-81 შესაბამისად. ამასთან, აღნიშნული ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათის დამატებითი პირობების ნახვა **კლიენტს** შეუძლია შემდეგ მისამართზე: <https://conditions.bog.ge/ge/conditions-fee>. ამასთან, **ბანკის** ვებ-გვერდზე განთავსებულ ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათის პირობებსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილება #20-81 განსაზღვრულ პირობებს





შორის შეუსაბამობის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #20-81 განსაზღვრულ პირობებს.

25. **მობილ ბანკით** შესაძლებელია ერთდროულად არაუმეტეს ორი ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათის შექმნა. ამასთან, ერთზე მეტი ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათის შექმნის შემთხვევაში შექმნილი ციფრული ვადიანი სამგზავრო ბარათების მოქმედების ვადები დაჯამდება.
26. იმ შემთხვევაში თუ **მობილ ბანკით** მოსარგებლე **კლიენტი** გაიაქტიურებს/**ავტორიზაციას** გაივლის **BOG sCoolApp**, ამ უკანასკნელს **BOG sCoolApp** გააქტიურების შემდგომ შეეზღუდება **მობილ ბანკით** სარგებლობა. აღნიშნული პირობა, არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც **კლიენტი Scool Card** გარდა სარგებლობს **ბანკის** სხვა **საბანკო პროდუქტებით** ან/და სხვა **ანგარიშით** გარდა **Scool Card** დაკავშირებული **ანგარიშისა**. ამ შემთხვევაში **კლიენტს BOG sCoolApp** მეშვეობით წვდომა ექნება მხოლოდ **Scool Card ანგარიშებთან** დაკავშირებულ ინფორმაციაზე.
27. სასაჩუქრე ბარათის მფლობელ **კლიენტს მობილ ბანკის** მეშვეობით შესაძლებლობა აქვს სასაჩუქრე ბარათის შესახებ ნახოს/მიიღოს შემდეგი სახის ინფორმაცია:
  - 27.1. სასაჩუქრე ბარათის მომსახურების პირობების შესახებ;
  - 27.2. იმ სავაჭრო/მომსახურების ობიექტის შესახებ, სადაც შესაძლებელია სასაჩუქრე ბარათის ფარგლებში საქონლის/მომსახურების მიღება;
  - 27.3. სასაჩუქრე ბარათის გადამცემი პირის ვინაობის შესახებ (თუ სასაჩუქრე ბარათი სხვისგან მიიღი);
  - 27.4. სასაჩუქრე ბარათის ფარგლებში სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან არსებული ბალანსის შესახებ
  - 27.5. სასაჩუქრე ბარათის ფარგლებში სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან არსებული ბალანსის ათვისების **ობერაციის** შესახებ
  - 27.6. სასაჩუქრე ბარათის მოქმედების ვადის შესახებ;
  - 27.7. სასაჩუქრე ბარათის კოდის შესახებ, რომელიც საჭიროა სავაჭრო/მომსახურების ობიექტთან პოსტერმინალზე ან ელექტრონული კომერციის ტერმინალზე (ინტერნეტ სივრცეში) სასაჩუქრე ბარათის გატარებისთვის